

შპს ფინანსური სერვისი

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 405311318

რეგისტრაციის თარიღი: 16/01/2019

მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება..... 3

სრული შემოსავლების ანგარიშგება..... 4

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. საქმიანობის ხასიათი და ისტორია..... 5

2. მომზადების საფუძველები..... 6

3. ფული და ფულის ეკვივალენტები..... 6

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები..... 7

5. მარაგები..... 7

6. ძირითადი საშუალებები..... 7

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები..... 8

8. ნასესხები სახსრები..... 9

9. კაპიტალი..... 9

10. ამონაგები..... 9

11. ხარჯები..... 9

12. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან..... 10

შპს ფინანსური სერვისი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

აქტივები	შენიშვნა	2023	2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		18,932	17,967
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	2,328,647	2,285,627
მარაგები	5	516	4,430
ძირითადი საშუალებები	6	890,623	15,158,491
სულ აქტივები		3,238,718	17,466,516
კაპიტალი და ვალდებულებები			
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	138,218	184,638
ნასესხები სახსრები	8	1,997,933	2,319,721
სულ ვალდებულებები		2,136,151	2,504,359
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	12,928	14,154,453
გაუნაწილებელი მოგება		1,089,639	807,704
სულ კაპიტალი		1,102,567	14,962,157
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,238,718	17,466,516

დირექტორი

ვახტანგ ოთხმეზური




შპს ფინანსური სერვისი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	10	1,466,126	2,125,130
შრომის ანაზღაურება		(266,249)	(473,234)
ცვეთა და ამორტიზაცია		(131,563)	(130,280)
სხვა ხარჯები	11	(550,352)	(1,063,730)
საოპერაციო მოგება		517,962	457,886
ფინანსური ხარჯი		(228,271)	(201,404)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი		9,211	(3,776)
მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა		(16,966)	86,233
მოგება დაბეგვრამდე		281,935	338,939
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		281,935	338,939
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		281,935	338,939
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		14,962,157	479,449
კაპიტალის სხვა ცვლილებები		(14,141,525)	14,143,767
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,102,567	14,962,156

დირექტორი



ვახტანგ ოთხმეზური

შპს ფინანსური სერვისი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

1. საქმიანობის ხასიათი და ისტორია

შპს „ფინანსური სერვისი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დარეგისტრირდა 2019 წლის 16 იანვარს. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდუბის რაიონი, წყალტუბოს ქუჩა, N 14/ წყალტუბოს ქუჩა, N 12. ორგანიზაციას მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი: 405311318

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

	31.12.2023	31.12.2022
ვახტანგ ოთხმეზური	50%	50%
მალხაზ ბუღდიაშვილი	50%	50%
	100%	100%

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლება მინიჭებული აქვს დირექტორს - ვახტანგ ოთხმეზურს.

საწარმოს ძირითადი საქმიანობის საგანია გადასახადების შემგროვებელი სააგენტოების და საკრედიტო ბიუროების საქმიანობები; კერძოდ, მოთხოვნის საფუძველზე დებიტორული დავალიანების ამოღების მომსახურება. ამასთან ერთად, 2021 წლიდან საწარმომ შეისყიდა ვადაგადაცილებული სალიზინგო პორტფელი და ახორციელებს პორტფელში მითითებული მოთხოვნების ამოღებას ფიზიკური და იურიდიული პირებისგან. აღნიშნული საქმიანობისთვის საწარმოს დაქირავებული ჰყავს თანამშრომლები, რომლებიც აწარმოებენ მოლაპარაკებებს მოვალეებთან არსებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებით და უზრუნველყოფენ იურიდიული და აღსრულების საკითხების მოგვარებას.

გარდა ამისა, საწარმო ახდენს საკუთარი და იჯარით აღებული უძრავი ქონების იჯარით/ქვეიჯარით გაცემას. საკუთარი და იჯარით აღებული ქონება მდებარეობს თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

შპს ფინანსური სერვისი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

2. მომზადების საფუძვლები

წარდგენის საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, დამრგვალების გარეშე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისას, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობა მისი მიზნების მისაღწევად და შესასრულებლად.

კომპანიის ხელმძღვანელობას აქვს გონივრული მოლოდინი, რომ კომპანიას, მთლიანობაში, აქვს საკმარისი რესურსი, ფუნქციონირების გასაგრძელებლად ფინანსური ანგარიშგების გამოშვებიდან 12 თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას კომპანიის შესაძლებლობას, გააგრძელოს ფუნქციონირება პროგნოზირებად მომავალში.

3. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ანგარიშებზე რიცხულ თანხას.

შპს ფინანსური სერვისი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს შესყიდულ სალიზინგო პორტფელს და გადახდილ ავანსებს.

	2023	2022
სალიზინგო პორტფელს	978,979	1,019,794
მოთხოვნები სხვა კომპანიების მიმართ	967,171	962,648
გადახდილი ავანსები	382,498	303,185
	2,328,647	2,285,627

5. მარაგები

მარაგებში აღრიცხულია მიმდინარე საქმიანობისთვის საჭირო პროდუქცია, რომელიც საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის არ იყო გახარჯული ან აქტივად აღიარებული.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებში ასახულია კომპანიის საკუთრებაში არსებული ქონება: შენობა-ნაგებობები, ავეჯი და მოწყობილობები, კომპიუტერული ტექნიკა, სატრანსპორტო საშუალება და მიწა.

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად. ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის მიმდინარე დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს,

შპს ფინანსური სერვისი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ძირითადი საშუალებები(გაგრძელება)

მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. 2022 წლის საანგარიშგებო წელთან შედარებით, 2023 წელს ძირითადი საშუალებების ღირებულების შემცირება გამოწვეულია მესაკუთრეთა მიერ კაპიტალიდან 2021 წელს შეტანილი შეტანილი მიწის ნაკვეთის გატანით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა(წელი)	ნორმა
შენობა- ნაგებობები	20	5%
ავტომობილები	5	20%
ტექნიკური აღჭურვილობა	5	20%
ავეჯი და სხვა	3-5	20%

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით ნარჩენი საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა საოპერაციო მოგება/ზარალი.

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან ვალდებულებებს.

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	91,995	106,315
ვალდებულებიდან თანამშრომელთა მიმართ	14,729	29,238
საგადასახადო ვალდებულებიდან	31,494	49,085
	138,218	184,638

შპს ფინანსური სერვისი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

8. ნასესხები სახსრები

კომპანიის ნასესხები სახსრები შედგება მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნასესხები სახსრებისგან. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრების 52 % უცხოურ ვალუტაშია, იგივე მაჩვენებელი 2022 წელს 42 % იყო.

	2023	2022
მოკლევადიანი სესხი	646,696	834,214
გრძელვადიანი სესხი	1,351,236	1,485,508
	1,997,933	2,319,721

9. კაპიტალი

კომპანიის საკუთარი კაპიტალი ფორმირებულია სადამფუძნებლო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში საკუთარ კაპიტალში ცვლილება გამოწვეულია საანგარიშგებო პერიოდში მიღებული მოგებით (281 935 ლარი, 2022 - 338 939 ლარი) და მესაკუთრის მიერ კაპიტალიდან 2022 წელს შემოტანილი 5 234 500 აშშ დოლარის საბაზრო ღირებულების (გაცვლითი კურსი 2,7016) მიწის ნაკვეთის გატანით.

10. ამონაგები

კომპანიის ამონაგები მოიცავს შემოსავალს მომსახურების გაწევიდან (იჯარის გაცემიდან) და შემოსავალს შესყიდული სალიზინგო პორტფელიდან.

	2023	2022
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	726,341	1,100,685
შემოსავალი შესყიდული სალიზინგო პორტფელიდან	739,785	1,024,445
	1,466,126	2,125,130

11. ხარჯები

კომპანია ხარჯებს აღიარებს დარიცხვის მეთოდით მათი გაწევისთანავე. წინამდებარე ანგარიშგებაში წაროდგენილი ხარჯები მოიცავს შემდეგ ხარჯებს: ფინანსური ხარჯი(საპროცენტო), შრომის

შპს ფინანსური სერვისი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ანაზღაურება, ცვეთა და ამორტიზაცია, სხვა ხარჯები, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს იჯარის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯებს.

ხარჯები(გაგრძელება)


	2023	2022
იჯარის ხარჯი	432,155	581,676
საოფისე / სამეურნეო ხარჯი	28,959	59,737
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	26,713	43,771
ქონების გადასახადის ხარჯი	23,802	39,127
სასამართლო წარმოების ხარჯი	19,736	141,563
კომუნალური ხარჯი	6,913	13,303
კომუნიკაციის	5,454	10,017
ქონების დაზღვევის ხარჯები	4,533	2,486
ოფისის კეთილმოწყობის ხარჯი	2,088	172,050
	550,352	1,063,730

12. მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები დაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“. საანგარიშგებო წლის ზარალმა კურსთაშორის სხვაობიდან შეადგინა 16 966 ლარი. უცხოური ვალუტაში არსებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსი აშშ დოლარი
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.702

დირექტორი



ვახტანგ ოთხმეზური